**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

24/12/2025

MES 8 25 0001861640

გადაწყვეტილება

შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯს (ს/კ: 405284473) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.
2. შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 10 დეკემბრიდან.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 დეკემბრის №1824130 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ

მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ელექტრონული
მზამზღსმეღლა
ელექტრონული